საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

23 თებერვალი 2022 წელი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# განკარგულება N 11

## გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე დადგენილი წესიდან (სახელის მინიჭების დაშვება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ) გამონაკლისის დაშვება და მოწონებულ იქნეს ქ. წალენჯიხის მაიაკოვსკის ქუჩისთვის ვალერი ჭანტურიას სახელის მინიჭება;

2. ეთხოვოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით დადგენილ გამონაკლისის დაშვებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება;

3. განკარგულება ძალაშია, გაცნობისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია